„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხცოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] — განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

---

თავადი გიორგი ილიას-ძე ორბელიანი სთხოვს ნათესავთა და მცნობთა მობძანდნენ მისის დედის კნეინა ბარბარე ილიას ასულის ორბელიანის დასაფლავებაზედ მცხეთის სობოროში შაბათს მაისის 26-ს დილის ცხრა საათზედ. (2—1)

---

**ამ ნომერში რვა გვერდია.**

---

**დღესასწაულის გამო, ხვალ, პარასკევს გაზეთი არ გამოვა.**

---

**ორშაბათს 28 მაისს**

უწინდელ სახელოსნო კლუბის შენობაში სამოქალაქო სამკურნალოს პირ-და-პირ

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქმნება

აქტორის სასარგებლოთ პირველად

**ტანჯვით შობილი, ტანჯვითვე კვდება!**

დრამა ხუთ მოქმედებათ თხუზულება ვანო მაჩაბელისა.

დასაწყისი 7½ საათზედ.

---

კვირას, 27 მაისს, დანიშნულია ხელმეორედ საზოგადო კრილობა «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» ნამდვილთა და დამფუძნებელ წევრთა, რადგან 13 მაისს კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეგროვდა და კრება ვერ შესდგა. ამის გამო 27 მაისს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

კრების განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული:

1) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედობის ანგარიშისა 15 მაისიდამ 1883 წ. 15 მაისამდე 1884 წლამდე.

2) მოსმენა და დამტკიცება სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვისა და

3) საზოგადოების ახალ-წევრთა ამორჩევა. (4—1)

---

## შინაური ქრონიკა

═ დღეს, საღამოზედ, „წერა-კითხვის საზოგადოებისავე“ ზალაში დანიშნულია მესამე სხდომა კომისიისა და სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტისა ამ სკოლის მომავალი დაწყობილობისა და პროგრამის გამოსარკვევად. წარსულს შაბათს მეორე სხდომაზედაც ხალხი ბლომად დაესწრო და როგორაც სჩანს იმ გაცხარებული ბაასიდამ, რომელიც ამ სდხომებმა გამოიწვიეს, საქმე უკანასკნელ სხდომაზედაც არ გათავდება. მაინც იმედი აქვთ, ეს საქმე მალე დაამბოლოვონ და მომავალი 10 ივნისისათვის გამართონ საგანგებო კრება კომისიის ანგარიშის მოსახსენებლად.

═ ხაშურიდამ გვწერენ, რომ ბევრს იქაურ მედუქნეს უპატენტოდ გაუღიათ დუქნები და ტრაქტირები და, რასაკვირველია, ამით საშუალება ეძლევათ ბევრად უფრო იაფად ჰყიდონ ყოველისფერი, ვიდრე «პატენტიანი« მოვაჭრეები ჰყიდიან. ასეთი უკანონობა ჩვენს ისედაც «ქესატ დროებაში» მეტის-მეტად ხელს უშლის ვაჭრობას და მართლაც ამ საქმეში. ცოტაც არის, პატიოსანი კაცი ხეირს ვეღარასა ჰხედავსო.

═ აი კიდევ ერთი მაგალითი ბათუმის მეტამოქნეების გადაჭარბებული მეთვალყურობისა: ოჩამჩირის მცხოვრები სამსონ ხოსროს-ძე თუნგია გვწერს, რომ ქუთაისიდამ ბათუმში მიველ და ოჩამჩირეში წასვლას ვაპირობდიო. გემში რომ მინდოდა ჩავჯდომა, მომცვივდნენ მეტამოქნეები, გამხადეს ტანიდამ ქუთაისში ნაყიდი ზაფხულის პალტო (შემიძლიან დავამტკიცო, ვისგან ვიყიდე და როდის ვიყიდეო), ძველი პოლსაპოჟკები მეჭირა ხელში და ისიც თანმიადევნესო. მე ოჩამჩირში მიმეჩქარებოდა, ჩივილს ვეღარ გამოვუდექი და გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოაცხადოთ ესეთი უკანონო მოქმედება მეტამოქნეებისაო.

═ სოფ. ახაშენიდამ (კახეთი) გვწერენ, რომ მაისის 10 ამ სოფლის ბოლოს ერთ კაცს დაეცა მეხი და საბრალოს სული დაალევინაო.

═ კახეთიდამა გვწერენ, რომ წინამხრის გლეხები ვენახების გაცხარებული მუშაობის დროს სამჯერ გარეკეს ბეგარაზე და ხან ერთი კვირა უნდებოდნენ მუშაობას, ხან ორი და სამიო. ჯერ იყო და ფოსტის გზაზედ ამუშავეს, მერე გაღმა მიაურის გზაზედ გარეკესო. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ჩალაუბნის გზამ გაუჭირა თურმე საქმე. წელიწადი ისე არ გავა, რომ ეს გზა ნიაღვარმა არ წაახდინოს და ხალხი ორი-სამი კვირა არ მოსცდეს ამ გზაზედ.

ვეიკვირს, ვინ გაპლანა ეს გზაო, გვწერს კორესპონდენტი, როდესაც ჩალაუბნის მაგივრად კარდანახზე რომ გამოეტარებინათ, მაშინ ამოდენა ყოველ-წლიური შრომა ხალხს რაღა დასჭირდებოდაო.

═ მდინარე ივრის გაღმა კუტი-კალია გამოჩენილა. სიღნაღის მაზრის უფროსს ჯეროვანი განკარგულება მოუხდენია კალიის გასაწყვეტად.

═ ლაგოდეხში ამ ერთი კვირის წინად უბედურება მომხდარა. თ. დ. ვაჩნაძეს დასწვია ნავთით ოთხი შვილი. საღამოთი მსახური შესულიყო ოთახში ლამპის ასანთებად, ბავშვები მიხვეოდნენ სტოლს. მსახურს აენთო ლამპა და დაედგა შუშა; ამ დროს ლამპა გამსქდარიყო, თვითონ მსახურს მკლავზე გადასხმოდა და ბავშვებს ტანზე. ერთი მათგანი ქალი ისე საშინლად დამწვარიყო, რომ მინამ მშობლები გაიგებდნენ (ამ საღამოს შინ არ ყოფილიყვნენ) სული დაელია, ორნიც ძალიან არიან დამწვარნი, თუმცა ჯერ-ჯერობით ცოცხლები არიან. მსახურს მარტო ხელი დასწვოდა.

═ კახეთიდამვე გვწერენ: «ალაზანმა წელს მუქთად არ ჩაატარა თავისი აღელვება. ამ თვის 18-ს იმსხვერპლა ორი ს. კარდანახელი მცხოვრებელი. უბედურები გაღმა სიმინდის სათოხნავად მიდიოდნენ თურმე და ნავი შუა წყალში გადაუბრუნდათ. ერთი ს. ხელაშვილი მალე გამოიყვანეს, მაგრამ

---

«დროების» ფელეტონი მაისის 24-ს.

## სამგვარი სიყვარული.

(შემდეგი *)

გარბოდნენ დღეები; მათ თან მოსდევდნენ კვირეებიც, ზაფხული იწურებოდა. ერთხელ მთვარიან ღამეში მარტო ვისხედით ორივე და ერთმანეთს ჩვეულებრივად უხმოდ შევსტრფოდით. თინათინმა გაიშვირა თითი ცისკენ და მითხრა:—ხედავ, იმ ორ ვარსკვლავს? აი იქ... შორს... ცის კიდეში! სხვებზედ მოშორებით რომ კაშკაშებენო?

— როგორ არა-თქო! მიუგე.

— საყვარლებსა ჰგვანან! შეიძლება, მართალიც იყოს. ბუნებაში ყოველიფერს სიყვარული აკავშირებს ერთმანეთთან.

— შეიძლება! წამოვიძახე მოუფიქრებლად და უაზროდ.

— თუ აგრეა, მაშ ერთმანეთს განზე რაღად უდგებიან? რატომ არ მოსწყდება ის მოდიდო ვარსკვლავი და არ დაეკონება იმ მომცროს? ვინ უშლით!..

— მერე და რომ იწყინოს მეორემ?

— რად უნდა იწყინოს? განა იმას კი არა სურს თუ?

— თუ აგრეა, რატომ თვითონ არ დაეკონება?

— უთუოდ კრძალვაა მისი ბუნების თვისება, ერიდება!

— ვითომ? ჰმ... ძლივს ამოვიკვნესე. თინათინმა თავი ჩაღუნა და გაჩუმდა. დიდხანს არც ერთს ხმა რაღა ამოგვიღია. გული საოცრად მიცემდა და თინათინის გულის ბგერაც მესმოდა. ის ხანდახან აიღებდა ხოლმე თავს, შემომხედავდა, თითქოს რაღაცას თქმა უნდაო და ისევ დახრიდა ხოლმე ძირს უკმაყოფილოდ. ბოლოს სთქვა:— «გვიან არისო»! წამოდგა და ზარმაცად წავიდა შინ. მეც მუნჯივით გავცილდე სახლამდი და დავბრუნდი შინ, ჩემს თავზედ გაჯავრებული.—რა კარგი მიზეზი მქონდა, რომ ჩემი სიყვარული შემეტყობინებია მისთვის! ის ორი ვარსკვლავი!... მაგრამ არა, არა, ისე წამცდა, უბრალოდ. მაინც უხეირო ვარ, რატომ არ ვუთხარი? მერე და რომ სწყენოდა? რად უნდა სწყენოდა? მოდი, ერთი ვეტყვი, რაც გახდეს-გახდეს! რომ შერცხვეს, მეც ძალიან შემრცხვება, მაგრამ არ შევხედავ თვალებში... მგება კი არ შერცხვეს? რომანებში რომ არ რცხვენიათ ხოლმე? მოდი, ერთი დავუჩოქებ და არაფერს კი არ ვეტყვი, სანამ თვითონ არ მკითხავს. თვითონ მიხვდეს! არა, არა, ამას ხომ სხვებიც შვრებიან სხვებთან? მე მინდა, რომ ჩვენ სულ განსხვავებული ვიყოთ! ჰმ... ხვალ სწორედ ვეტყვი... ვეტყვი და ვეტყვი!... მეორე დღეს საღამომდე ვემზადებოდი და ვფიქრობდი—თუ რა უნდა მეთქვა და როგორ? კარგადაც მოვემზადე ჩემს გუნებაში, მაგრამ, მოვედი იმასთან თუ არა, ფიქრები ამერია, პირში ნერწყვი მიშრებოდა, ყელში რაღაც გამეჩხირა ბურთივით და სულ სხვაზე დავიწყე როშვა. დიდხანს ვიტანჯებოდი ამ გვარად! ვჩემებდი... ჩემს თავს სიტყვას ვაძლევდი, როცა მარტო ვიყავი და რომ მივდიოდი ვეღარას ვბედავდი. თითქმის თავი შემძულდა. ზაფხული კი თან-და-თან ილეოდა, დრო მოდიოდა ქალაქში გადასვლისა.

ერთხელ თინათინის წერილი მომივიდა: „ულონოდ ვარ და მოდი, მნახეო!» —წიგნის წაკითხვა და სატრფოსკენ გაქანება ერთი იყო. მივდიოდი ჩქარის ნაბიჯით და გული თან აღარ მიმყვებოდა: ვაი თუ მართლა მძიმედ იყოს ავად-მეთქი.

თინათინ მარტოკა იყო სახლში და მამელოდა. როგორღაც აჩირებულად იყო ჩაცმული და ახლად დავარცხნილი თმა მხრებზედ ტევრად ეყრებოდა. შემომცინა და ალერსიანად მითხრა: „ვაი თუ შეგაშინეო! ცოტათი გავცივდი და გარეთ აღარ გამოვდივარ, თორემ სხვებ არა მჭირსრაო“! ამ სიტყვებით ნუგეშცემული ახლოს დავუჯექი და დავიწყეთ სხვადა-სხვა ამბები. გახურებულ საუბარში რომ ვიყავით, ერთი უეცრად დაიძახა: „მჭვალი! მჭვალიო!» და წამოვარდა ზეზე. მე გული გადამიტრიალდა; წამოვარდი მეც და ქუდს მოვავლე ხელი, მინდოდა ექიმთან გავქცეულიყავ, მაგრამ თინათინმა დამიშალა:—საჭირო არ არის, ისეც გადამივლისო, მე ასე ვიცი ხოლმეო»! გაიძრო კაბის ზედა-ტანი და მიაგდო იქით.—აბა ახლა კარსეტიც გამიხსენით, მგონია, მიჭერსო. მრუდედ არიან ზონრები გამონასკვული და მოკლე თავს მისწიეო. მივარდი და ხელების კანკალით შევუხსენი, როგორც იქნა, ისიც გაიხადა და დააგდო სტოლზედ. მისმა უსახელო და ღრმად გულ-ამოჭრილმა განიერმა პერანგმა უცბად ძირს დაიწია. «წელზე ხელი მომდევი, არ წავიქცეო»! მითხრა. მოვხვიე ხელი და მომეყრდნო გულზე. მუხლები ამიკანკალდნენ და ჩავჯექი. ისიც გულ-აღმა დაეშვა ჩემს მუხლებზედ. ლოყები წამოუწითლდა, ტუჩები ოდნავ გაეპო, თვალები დახუჭა და უცნაურად სუნთქავდა. ყელ-მოღერებულად თავგადაკიდებულს შავი თმა ტევრად ძირს ეყრებოდა. მოვინდომე გასწორება. თავი ავუწიე, მაგრამ მეტი მომივიდა

*) იხილე „დროება“ № 110.

თავქვე დაწვენის მაგივრად, უბრალოდ დაეწვინათ მიწაზე. ხელაშვილს ერთი საათი კიდევ ეცოცხლა. ამ ხელაშვილს უპატრონოდ დარჩა ცოლი და წვრილი შვილები. ერთი დამღრჩვალი ჯერაც ვერ უპოვიათ. ნავში ჩვიდმეტი კაცი იყო. დანარჩენები გადაარჩინა ქარდანახელმა ბოგებაშვილმა, რომელიც საგანგებო მოცურავეა.

## «დროების» კორესპონდენცია

ს. ბარსაჯავახო. მაისის 9. წელს ყვავილი იმერეთში და სამეგრელოში ძლიერ ხშირია; თითქმის ყოველ სოფელს მოედო და ბევრიც იმსხვერპლა. როგორც გავიგეთ სამეგრელოს ერთ სოფელში სამოცამდე მოუკლავს. აქეთკენაც ხშირად გვესმის, რომ ყვავილმა ეს, და ეს კაცი მოკლაო. აქამომდე ყვავილისაგან თავისუფალი იყო მუხაყროის საზოგადოება. აქაურ მამასახლისს ეგონა, რომ ცუდი გზები გვაქვს და „ყვავილ-ბატონები" არ იკადრებენ ეგეთ ცუდ გზებზედ გამოსეირნებასაო, მაგრამ მოსტყუვდა: ამ საზოგადოებაშიაც შემოდგა ყვავილმა ფეხი, გაღმა ორპირიდან გამოღმა ორპირშიც გვეწვია (გამოღმა ორპირი მუხაყროის საზოგადოებას ეკუთნის) და ახლა თურმე სხვა სოფლებშიაც გასეირნებას აპირობს.

ყვავილი გაჩნდა აგერ ერთი კვირაა და მამასახლისმა, რადგან მაზრის უფროსისაგან ჰქონდა ნაბრძანები, პირ-და-პირ «რაპორტი» მაზრის ექიმს მიმართა და სთხოვა ამცრელი გამოეგზავნა, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოგვსვლია.....

გზები აქეთკენ ძლიერ ცუდი გვაქვს და ნაკლებადაც ზრუნავენ მათ გაკეთებას; სხვა გზებს კიდევ თავი დავანებოთ, ამ საზოგადოებაში გამოივლის ერთი გზა, რომელიც დასავლეთისაკენ საჯაოხოს სტანციის მახლობლად ერთდება ოზურგეთში მიმავალ გზა-ტკეცილთან და აღმოსავლეთისაკენ ბაღდადში უერთდება ახალციხეს მიმავალ გზა-ტკეცილს. კარგა დიდი ხანია რაც ეს გზა გაყვანილია, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს და თან-და-თან ფუჭდება. ეს გზა ძლიერ საჭირო გზაა ყველასთვის, მაგრამ უმეტესად საჭიროა ტობანიერშია და საჯავახოს სტანციის სამი საზოგადოებისათვის: მუხაყროის, ტობანიერის და საპაიჭაოს საზოგადოებათათვის. ამ სამ საზოგადოებიდან გააქვთ ამავე გზით ორპირში და საჯაოხოს სტანციაზედ გასასყიდად (ჩალვადრებს ცხენებით და თვითონ სოფლელებს ურმებით) სიმინდი, ლომი, ღვინო, ნიგოზი და სხვა ნაწარმოები. გზა არის გაყვანილი სულ მთაგორების ძირად ბარში და მოუკენჭავია; რაკი ცოტას წამოწვიმს ისეთი ტალახი დგება, რომ ცხენი მკერდამდის იფლება და როცა კარგი წვიმა მოვა, მაშინ მთაგორებიდან ჩამოსული ნიაღვარი გზას სრულიად აფუჭებს და სადაც პატარა წყლებია, როგორც მაგალითად: ოკაპინა, ნასერელა და ყუმური, სულორი და სხ., იქ მგზავრი, რაც უნდა გზას ეშურებოდეს, იძულებულია შეჩერდეს და უცადოს წყლის ჩამოვარდნას, რადგან ხიდი არც ერთზედ არ არის, მხოლოდ ნასერელაზედ იყო და ახლა ისიც გაფუჭებულია. თუ ბ. პოლიციის პრისტავმა მოიწადინა და ზემოაღნიშნულ სამ საზოგადოების მამასახლისებს შეაგონა ტობანიერიდან დაწყებული საჯაოხოს სტანციამდი იოლად გააკეთებენ ამ გზას. ამისათვის საჭიროა გზის იქით-აქეთ თხრილების ამოწმენდა, მოსწორება, დამტვრეული ქვის მოყრა და ხიდების გაკეთება. მუშაობა მართალია, ბევრი უნდა, მაგრამ სამ საზოგადოებაში მცოვრებელნი, რომელთაც ყოველ დღე შეხვდებათ ამ გზაზედ გავლა-გამოვლა, ძლიერ ადვილად და მალეც გააკეთებენ, თუკი ითავა ვინმემ. ქვა ბევრი ეშოვებათ და შორს გადატან-გადმოტანაც არ დასჭირდებათ, თითქმის სულ გზისპირად აიკრიფება და ხიდებისთვის ხეები ახლო მოიჭრება.

წელს ძლიერ ხშირად ისმის ეკლესიების ტეხა და ცარცვა. ბოროტ-მოქმედმა არ დასტოვა გაუტეხელი არც ბარსაჯაოხოს ეკლესია. პარასკევ ღამეს მაისის 4-ს ქურდებს გამოემტვრიათ სამხრეთის კარები, შესულიყვნენ და გაეტანათ შვიდი აბაზი ფული, ერთი ძველი ვერცხლის კოვზი, ერთი ჯვარი და 17 ცალი შაურიანი სამთელი. ბევრი ეძებნათ ბარძიმ-ფეშხუმი და ფულის ყულაბი, მაგრამ ვერ ეპოვნათ, რადგანაც ორივეს «სტაროსტა» შინ ინახავს; ამ საქმეზედ „პრისტავი" მოვიდა მაისის 8-ს. გამომძიებელი ჯერ არ მოსულა. ეჭვი ჯერ ვერავისზედ ვერ აიღეს. იმედია რომ გამომძიებელი მეტს მაინც აღარ დაიყოვნებს და რიგიანად შეუდგება საქმის გამოკვლევას.

## უცხოეთი.

საფრანგეთი. პალატათა სხდომები დაიწყო მაისის 21-ს (ახ. სტ.) პირველსავე სხდომაზე მინისტრთა რჩევის პრეზიდენტმა ფერიმ წაიკითხა წერილი, რომლის შინაარსიც მოკლედ მოგვყავს აქ:

«პალატათა უკასკნელი სესიის დახურვის შემდეგ საფრანგეთის ჯარებმა დაიპყრეს გონ-ხოას ციხე, ტონკინში ომიანობა გათავდა და საფრანგეთი «შეიქმნა პატრონი ამ ქვეყნისა». საფრანგეთის ჯარებმა ჩინებულად გაამართლეს თავისი უწინდელი სახელი და ის იმედი, რომელიც საფრანგეთსა ჰქონდა მასზე დამყარებული... 29 აპრილს კონტრ-ადმირალი ლესპესი თავისი ესკადრითურთ მივიდა შანხაიში, სადაც შეიტყო, რომ ჩილის ვიცე-კოროლის მეცადინეობით ჩინეთის მმართებლობამ საფრანგეთის სასიამოვნებლად მარკიზ-ძენგი დაითხოვა ელჩობიდგან და პეკინში მიიხმოვო. ხსენებულმა ვიცე-კოროლმა მიანდო ლესპესს ეცნობებინა ეს გარემოება საფრანგეთის მმართებლობისთვის და ამავე დროს მოინდომა ტინძინში კაპიტანი ფურნიეს ნახვა მოსალაპარაკებლად საფრანგეთის და ჩინეთის შუა მორიგებაზე... მაისის 8 და 9-ს კაპიტანმა ფურნიემ ტინძინიდგან და ადმირალმა ლესპესმა შანხაიდგან ერთსა და იმავე დროს აცნობეს საფრანგეთის მმართებლობას, რომ ჩილის ვიცე-კოროლმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება. ორივე მხარემ შეიმუშავა ხუთი მუხლისაგან შემდგარი პირობა, რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო დაბოლოვებითი ტრაქტატი (აქ ფერიმ ჩამოთვალა პირობის მუხლნი, რომელნიც ჩვენს გაზეთში უკვე იყვნენ მოყვანილნი). თუმცა საფრანგეთმა ფული არ აიღო ჩინეთისაგან, მაგრამ ისეთი პირობით დააბოლავა საქმე მასთან, რომელიც უფრო სასიამოვნოა და დიდს უპირატესობასაც ანიჭებს საფრანგეთს. რა სჯობია იმ ტრაქტატს, რომელიც ამყარებს ორ სახელმწიფოს შორის კეთილ-განწყობილებას, მეგობრობას, კომერციულს და პოლიტიკურს კავშირს, რომელიც არა სტოვებს თვის შემდეგ არავითარს დამცირებას და სიმწარეს და რომელიც უხსნის საფრანგეთის ვაჭრობას ახალს და მოულოდნელს გზას ძველს ქვეყანაში, სადაც აქამდინ შევიწროებული

---

და უცბად მისი ტუჩები, დახრის დროს, ტუჩებზედ მომხვდნენ!.. ქალი სუროსავით ყელზედ შემომეჭდო და მომიჭირა გამეტებით ხელები. მაშინვე თავბრუ დამეხვა და თავიც მივეც დავიწყებას!.. რომ გამოვფხიზლდი, თინათინ მხართეძოზე იყო წამოწოლილი და მე კი მის მკლავზედ მედვა თავი. სახე-მღელვარედ მისვამდა შუბლზედ ხელს და წყნარად მკოცნიდა. «წყალი ხომ არ გინდაო?» მეკითხებოდა. მომიტანა სტაქნით ცივი წყალი, დამალევინა. მერე ამაყენა და მითხრა: «ახლა კი წადი კარში! სიგრილე მოგიხდებაო!» მე, ჯერ კიდევ გამოურკვეველი, უსიტყვოდ დავემორჩილე მის ნებას.

იმ ღამეს ტკბილად ჩამეძინა და მეორე დღეს, რომ გამომეღვიძა სულ სხვა გუნებაზე ვიყავი. თავს ველარა ვსცნობდი, თითქმის რაღაც ძლევა-მოსილობა, ამირან-ამირანობა მომანიჭა მეთქი და თამამად გავსწიე საყვარლისკენ. გული თუმცა ჩვეულებრივად აღარ მიცემდა, მაგრამ რაღაც შეფერებულის სიამოვნებით კი იყო დამძიმებული. თინათინი ახალი გამოღვიძებული იყო და ყავასა სვამდა. მალულად შემომხედა და მორცხვად ჩაღუნა თავი. „რა ყმაწვილია-მეთქი"! ვიფიქრე გუნებაში და მივიწიე მისკენ, ვითომ ყურში ჩასაჩურჩულებლად, მაგრამ ამ დროს გარედან ფეხის ხმა მომესმა და გავსწორდი. ოთახში ერთი დიდ-ულვაშა კაცი შემოვიდა. ამ ვაჟბატონს ხშირად ვხედავდი ხოლმე ადრევაც თინათინთან და მომწონდა. მომწონდა მისთვის, რომ ის, როგორც ვატყობდი, მისი სასიამოვნო სტუმარი იყო, მაგრამ დღეს კი ასე უმიზეზოდ ამომეთვალწუნა. რაღაცა მკბენდა გულზე. თითქმის მიკვირდა: ჩემდა უნებურად აქ რა უნდა-მეთქი?.. ამასთან უსაფუძვლო, სულელური რამ ჯერ არა მეგრძნო რა და გავიბუტე!.. გავიბუტე: მაგრამ თინათინის ერთი შემოხედვა საკმაო იყო, რომ ის ჩემი ღრუბელი გაქფანტა, — დიდხანს ვიყავი მთვრალი მისის ეშხით. სიყვარული თან-და-თან მეგძნებოდა უსაზღვროდ და უზომოდ, თუმცა ახლა სულ სხვა გვარად კი ვგრძნობდი მის ძალას. ერთხელ რამოდენიმე დღით გავემგზავრე ქალაქისკენ; სასოებით, თვალ-ამღვრეულად გამოვეთხოვე ჩემს სატრფოს და წაველ. შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ იმ საღამოსვე დავბრუნდი და პირ-და-პირ მივაშურე თინათინს. ვფიქრობდი: ახლა ის ჩემი ნეტარება მარტო იქნება... მოწყენილი... ან წიგნს კითხულობს და ან სტოლზე იდაყვ-დაბჯენილი ოცნებობს ჩემზე! მე მივალ... მივეპარები ნელნელა... ფეხ-აკრეფით, შევაფრთხობ... ის წამოვარდება ზეზე შემკრთალი, ერთს შემომკივლებს და, გაჭარხლებული, მომეხვევა კისერზედ...

ამ ოცნებით შევიპარე სახლში. ზალა ჩუმად გავალე, ფეხებს ძირს აღარ ვაკარებდი; მხოლოდ გულს კი გაქონდა ბაგა-ბუგი, თითქოს გულზედ ბანზას მაპენტავდენ. წყნარად შევაღე საწოლი—ოთახის კარები და შევძვერი.—იმისთანა თქვენმა მტერმა დაინახოს, მე იქ სანახავი ვნახე: კოტრიალა-კოტრიალა! ულვაშებიანი ვაჟბატონი წამოვარდა ზეზე, აიფხორა ინდაურივით და თითქოს რაღაცა დააპირა, მაგრამ ბოლოს წიგნს მოავლო ხელი და, ვითომ ვკითხულობო, ჩაღუნა თავი. ქალბატონმაც რაღაც წაიბუტბუტა; ერთხანს აშფოთებული იყო, მაგრამ ბოლოს შემომხედა და შეჰყარა წარბები. მე ზარდაცემული, გაქვავებულსავით ერთის ადგილიდან ფეხს ველარ ვიცვლიდი. — თქვენ რა გინდათ აქაო? შემომძახა. ვინ მოგცათ ნება ასე კადნიერად აქ შემოსვლისაო? ვკადრებათ მზვერაობაო და სხვანი. მე ველარა გავიგე-რა! სულ დავიბენი და თვალებ-დაჭყეტილი მივჩერებოდი, როგორც მართლა დამნაშავე. თითქმის მზაც ვიყავი, რომ იმის წინ მუხლ-მოყრით ბოდიში მომეხადა, მაგრამ ვერ ვახერხებდი და ის კი უფრო და უფრო მიყვიროდა გაავთრებული: გადი აქედან! გაეთერი, აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო!.. მაგრამ მე მაინც არ ვინძრეოდი, სანამ კიდევ არ მომძახა ზიზღით: «არ გესმის, შე ლოქო, შენაო?!» ამ სიტყვამ კი გამომაფხიზლა!. ეს სიტყვა სადაც ადრე ეკლად მეჩხვლიტა გულში, ახლაც სწორედ იმავ ადგილს განმეორებით ფინთიხივით მეცა და გამწარებული გავარდი კარებში ბაღისკენ. აღარც გზა მიძებნია და აღარც კვალი!—მეტი აღარა მახსოვს-რა! მხოლოდ რამოდენიმე კვირის შემდეგ გამოვფხიზლდი საავადმყოფოში. — ჩემმა ექიმმა საიმედოდ მითხრა: აწ აღარა გიჭირს-რაო!.. შენს ახალ-გაზრდობას მადლობდე, თორემ ვერ აიტანდი მაგ ანთებასო!.. რომ მოუყვანიხართ აქ, მაშინ არ უთქვამთ, თუ რა მიზეზით მოგსვლიათ ეგ ანთება, მაგრამ მე კი ისეც შევატყვეთო!.— უთუოდ წყალში ჩავარდნილხარო?!—

— როგორ თუ წყალში და რითი მიხვდით-მეთქი!

— ეგ ადვილიაო! ამაყად მიბრძანა: როცა გაბოდებდათ, სულ ლოქოს ახსენებდითო!..

ლოქოს გაგონებაზედ ხელ-მეორედ შემიწუხდა გული.—მას შემდეგ აგერ მეოთხედი საუკუნე გარბის და მე ლოქოს ხსენება დღესაც კიდევ მეჯავრება.

(შემდეგი იქნება)

იყო? ფურნიე სთხოვდა საფრანგეთის მმართებლობის მონდობილობის წერილს და მმართებლობამაც დაუყოვნებლივ გაუგზავნა მას ეს წერილი რესპუბლიკის სახელობით. მაისის 11 ორივე მხარემ მოაწერა ხელი პირობას''. აქ ფერის წაუკითხავს პირობის წერილი, რომელიც უკვე გავაცანით მკითხველებს ჩვენის გაზეთის წინა №№ ში.

შემდეგ ფერი შეეხო იმ გარემოებას, რომ ჩინეთის მმართებლობა მზად არის დაუყოვნებლივ შეასრულოს ყოველივე, რისაც მოვალეა ახლად დადგენილი პირობის ძალით. ამის დასამტკიცებლად ფერიმ წაიკითხა ფურნიეს ტელეგრამა რომ რომლითაც ატყობინებს ჩინეთის მმართებლობა 6 ივნისამდინ გამოიყვანს ტონკინიდგან თავის ჯარებსაო. ბოლოს ფერიმ აცნობა პალატას, რომ საფრანგეთის მმარართებლობამ უკვე ამოირჩია ვექილი ჩინეთთან დაბოლოვებითი ხელ-შეკრულობის დასადგენად. ფერიმ თავის წერილი შემდეგი სიტყვებით დაასრულა: «ჩვენი ზომიერება, რომელიც ევროპამ დიდად დააფასა, კეთილად გადაგვაწყვეტინებს ამ საქმეს და მომავალშიაც მოსვენებით და უშიშრად გვამყოფებს.» ამ სიტყვებზე დიდი ტაშის-კვრა ასტყდა პალატაში.

**ეგვიპტე.** იმის შემდეგ, რაც გენერალმა გრაჰამმა გაიყვანა სუაკიმიდგან ჯარები, ინგლისურს გაზეთებს თითქო დაავიწყდათ, რომ ამ ქალაქის არე-მარეში აჯანყებულები კიდევ არიან და იმათზე თითქმის არაფერს არ იწერებიან. ელ-ტებესთან, ტამაისთან და ტამანეიბდან ბრძოლის შემდეგ ოსმან-დიჰმაზე და მის რაზმზე ძლიერ ცოტას ლაპარაკობენ, თითქო აჯანყებული არაბები დაწყნარებულიყვნენ და ომიანობა გათავებულიყოს; მაგრამ ჯერ რომ არ გათავებულა ომიანობა და არაბებიც არ დაწყნარებულან აღმოსავლეთ სუდანში, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ გაზეთებიდგან შემდეგ ცნობებს:

მაისის 17-ს, შუადღისას, აჯანყებულები დასცემიან ბამბის ფაბრიკას, რომელიც სუაკიმის სამხრეთის მხრივ იმყოფება, ზღვის ნაპირად და იმ ადგილს ახლო, სადაც ინგლისის ერთი სამხედრო გემთაგანი სდგას. აჯანყებულებმა მოიტაცეს 700-მდინ საკლავი საქონელი. უკან ეგვიპტის რაზმი დაადევნეს მათ, მაგრამ ველარსად იპოვნეს.

მაისის 19-ს, შუადღის შემდეგ 1 საათზე, აჯანყებულები სუაკიმს დასცემიან. ოსმან-დიჰმის არაბები დასავლეთის მხრიდამ მიჰპარვიან ქალაქს და საშინელი თოფის სროლა დაუწყიათ იმ ყუზნისთვის, რომელიც ყველა ყუზნებზედ უფრო სუსტად არის გამაგრებული. ინგლისურს გემებს გამოუგზავნიათ ნაპირზე თავის კომანდები და როდესაც ამ უკანასკნელთ დაუწყვიათ თოფის-სროლა, აჯანყებულებს უკან დაუწევიათ, მაგრამ დაჰმუქრებიან კი, რომ კიდევ დაეცემიან ქალაქს უფრო დიდის ძალით. ეხლა ერთი ინგლისური გემთაგანი დამდგარა სწორედ იმ ადგილას, ბიდამაც აჯანყებულებმა ქალაქს თოფი დაუშინეს.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

ამ თვის თხუთმეტს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ ქ. გორში იყო გამართული ქართული წარმოდგენა დივერტისმენტით. წარმოადგინეს ა. ცაგარლის სამ-მოქმედებიანი კომედია «ხანუმა». წარმოდგენიდამ შემოვიდა სულ 121 მ. 50 კ., დაიხარჯა 32 მ. და 50 კაპ.

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პარიკმახერს, თბილისიდამ მოწვეულს | 20 | — |
| დუდუკს | 3 | — |
| მუშებს | 3 | — |
| სანთელი და სხვა წვრილმანი ხარჯი | 6 | 50 |
| სულ | 32 | 50 |
| ხარჯს გარდა დარჩა | 89 | — |

ეს რვა თუმანი და ცხრა მანეთი ადგილობრივი პოლიციის მოთხოვნილებისამებრ გარდაეცა მას წარსადგენელად «წერა-კითხვის საზოგადოებაში», რომელსაც ვსთხოვთ მიღებისათანავე გამოაცხადოს გაზეთ «დროებაში».

წარმოდგენის გამგენი: ეკატ. ფურცელაძისა. სოფ. მგალობლიშვილი.

მაისის 8-ს.
ქ. გორი.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 22-ს.

**ტაშკენტი.** იმ გზის შესასწავლად, რომელიც ბუხარიდან მიდის ჩარჯუიზე და იქიდან მერვზე, გაიგზავნნენ მსროლელთა ბატალიონის ოფიცრები სინიცინი და დანილოვი; ისინი ბუხარაში სხვა გზით დაბრუნდებიან, ბურდალიკზე გამოივლიან. ამათთან ერთად მიდის მოგზაური რეგელი.

**ლონდონი.** გუშინ საღამოზედ, კორნის საგრაფოში, მილსტრიტის ახლო მოუკლავთ თავის სახლში ერთი მოიჯარადრე (арендаторъ) და ორიც იმის შინაურები დაუჭრიათ. ეს მკვლელობა მამულის გამო მოხდა; მკვლელები ეკუთნიან იმ გუნდს, რომელსაც ,,მთვარის შუქი'' ჰქვიან.

მაისის 23.

**პეტერბურგი.** ხმებია, რომ დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს-ძის და ელისაბედ ჰესენელის დაქორწინება ივნისის 3-ს იქნება.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ იუსტიციის მინისტრს წარუდგენია სახელმწიფო რჩევაში პროექტი იმის შესახებ, რომ სასამართლოებში ზოგიერთა საქმეების გარჩევის დროს წოდებრივი წარმომადგენლების მაგივრად საზოგადოებისაგან ამორჩეული ნაფიცი მსაჯულები იყვნენ. ამას გაზეთები უმატებენ, ვითომც სახელმწიფო რჩევას დაედგინოს გარდაწყვეტილება, რომელიც ამ პროექტის სასარგებლოა.

## თბილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისაგან.

მმართველობა თბილისის თავად-აზნაურობის ბანკისა, წესდების მე-15 § ძალით 17 თებერვალს 1881 წ. ამით აცხადებს, რომ ივნისის 22-ს ამ 1884 წ., შუადღის 12 საათზედ, თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ბრუზინსკის სახლებში № 13, გაისყიდება უძრავი ქონება ვაჭრობის განუმეორებლად («უპერეტორჟკოთ») ქვემოდ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზე არ შემოუტანიათ ხვედრი ფული რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ჩიგიანოვი ალექსანდრე სოლომონის ძე. საბოსტნე ადგილი, ვენახი და მარანი 5600 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-9 ნაწილში № 677. თავნი ვალი 3813 მ. 55 კ., დარჩენილი 211 მ. 43 კ.—სულ ერთიანად 4,024 მ. 98 კ.

ქანანოვები: მაგდალინა პეტრეს-ასული და ნიკოლოზ დავითის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ყველა მოწყობილობით და $190^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, 1 არშინი და 188 გოჯი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, დავითის და კომენდატის ქუჩებზე. თავნი ვალი 46,372 მ. 55 კ., დარჩენილი ვალი 4,591 მ. 54 კ.—სულ ერთიანად 50,964 მ. 9 კ.

არცრუნნი გრიგოლი და ანდრია იერემიას-ძენი: ორ-სართულიანი კვითკირის სახლი, შენობებით, ბაღით და 1590 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-4 ნაწილში; თავნი ვალი 56,551 მ. 90 კ., დარჩენილი 3,728 მ. 90 კ.—სულ ერთიანად 60,280 მ. 80 კ.

გეგელი ივანე თევდორეს-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და სამ-სართულიანი ფლიგელი 150 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თფილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-11 ნაწილში, პირველ მალაკნების ქუჩაზედ № 88. თავნი ვალი 2827 მანათი 60 კაპ., დარჩენილი 153 მანათი 10 კაპ.—სულ ერთიანად 2980 მანათი 70 კაპ.

ტერ-მიქელოვი ასლან გაბრიელის-ძე (აწ სოლომონ ივანის-ძის შაბუროვისა). ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და მიახლოვებით 500 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილ. ქ. თბილისში, ოლგას გზა-ტკეცილზე, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6597 მანეთი 72 კ., დარჩენილი 504 მანათი 72 კ.—სულ ერთიანად 7,102 მანათი 44 კაპ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი ბალახონით, ბ) ორი თითო სართულიანი ქვით-კირის დუქანი 276 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში: ა) მე-7 ნაწილში, 1 განყოფილებაში და ბ) მე-14 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი 23,544 მ. 98 კ., დარჩენილი 2,527 მან. 30 კ. —სულ ერთიანად 26,072 მ. 28 კ.

მირიმანოვი ისაკი ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ვენახით და 1488 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე-13 მარანცოვის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 3,958 მ. 64 კ., დარჩენილი 263 მ. 2 კ. სულ ერთიანად 4,221 მ. 66 კ.

აივაზოვი, გიორგი მიხაილის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 32 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. გორში. თავნი ვალი 1,696 მან. 56 კ. დარჩენილი 118 მ. 66 კ.—სულ ერთინად 1815 მ. 22 კ.

ბეჟანბეგოვისა ალექსანდრა თომას ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სამოსამსახუროებით და 44 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში სასახლის ქუჩაზე. თავნი ვალი 6,597 მ. 71 კ., დარჩენილი 458 მანათი 28 კაპ.—სულ ერთიანად 7,055 მ. 99 კ.

გაბუნია მერაბ იაგორის ძე. ორი ქვითკირის სახლი: ორ-სართულიანი და ერთ-სართულიანი შენობებით და 125 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ქ. გორში. თავნი ვალი 3,641 მ. 41 კ., დარჩენილი 202 მ. 90 კ.—სულ ერთიანად 3,844 მან. 31 კ.

ზიალოვი, ვასილ ისაკის-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამოსამსახუროებით, სარდაბით, ფლიგელით, სარაიათი, ყოველივე მოწყობილობით და 368 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში, კუკიაში, ნიკოლოზის და ალექსანდრეს ქუჩაზე №№ 851 და 4; თავ. 2560 მანათი 15 კაპ. დარჩენილი 71299 მანათი 90 კაპ.—სულ ერთიანად 26990 მანათი 4 კაპ.

კობიევისა ეკატერინე იოსების-ასული. ერთ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ფლიგელით, სარაიათი, თავლით, მარნით, ბაღით, სამოსამსახუროთი, ყოველივე მოწყობილობით და 490 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ქ. თბილისში მე-2 განყოფილებაში, კუკიაში. თავნი ვალი 12,369 მ. 33 კ., დარჩენილი 420 მ. 44 კ.—სულ ერთიანად 12,729 მ. 77 კ.

ტერ-აფრიამოვი სტეფანე ნიკიტის ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და $103^3/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე-7 ავლაბრის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში კახეთის გზაზე;

თავნი ვალი 6,850 მ. 70 კ., დარჩენილი 508 მ. 87 კ.—სულ ერთიანად 7,359 მ. 57 კ.

კალინოვსკისა, პელაგია ანდრიას ასული, ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და 100 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში; თავნი ვალი 3817 მ. 97 კ., დარჩენილი 200 მან. 80 კ.—სულ ერთიანად 4018 მან. 7 კ.,

ელიოზოვისა, ელისაბედ იაკობის-ასული: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფის სართულით და ორიც ფლიგელი სარდაფით; ზომა მიწისა 203 ოთხ-კუთხი საჟენი; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ამალლების ქუჩაზე. თავნი ვალი 10,466 მ. 37 კ., დარჩენილი 378 მ. 20 კ.—სულ ერთიანად 10,844 მ. 57 კ.

კოშორიძეები: გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით, სამოსამსახუროთი და მიახლოვებით 217 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 19,410 მ. 33 კ., დარჩენილი 2,422 მ. 91 კ.—სულ ერთიანად 21,833 მ. 24 კ.

მაჩაბლისა დარია გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი საყინულეთი და ორ-სართულიანი ფლიგელი, სარდაფით 380 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით; ქ. გორში. თავნი ვალი 11,417 მ. 44 კ., დარჩენილი 951 მ. 66 კ.—სულ 12,369 მ. 50 კ.

სპანდარიანისა ანნა ალაპარუნოვის ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფის სართულით და სამი ფლიგელით, ყოველი მოწყობილობით და 325 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, სოლოლაკის ქუჩაზე № 816. თავნი ვალი 26,091 მ. 96 კ., დარჩენილი 1,529 მ. 96 კ.—სულ ერთიანად 27,621 მ. 57 კ.

ბერძენოვისა დარია გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი 110 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, მოსკოვის ქუჩის ზევით. თავნი ვალი, 6,850 მ. 70 კ., დარჩენილი 548 მ. 32 კ.—სულ ერთიანად 7,399 მ. 2 კ.

ჯორჯაძე, დავით ვახტანგის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, თავის მოწყობილობით და 1443 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თელავში. თავნი ვალი 7,421 მ. 61 კ., დარჩენილი 502 მ. 64 კ.—სულ 7,924 მ. 25 კ.

გურგენბეგოვი ალექსანდრე ისაკის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი 160 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-11 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში ახალ-არსენალის ქუჩაზე. თავნი ვალი 10476 მანათი 37 კაპეიკი, დარჩენილი 824 მანათი 44 კაპეიკი სულ—ერთიანად 11290 მანათი 81 კაპეიკი.

ტიტელ ფრანც სიმონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და სამი თითო-სართულიანი ფლიგელი ყოველივე მოწყობილობით, ვენახით და 1412 და $^{80}/_{600}$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზე. თავნი ვალი 13453 მანათი 97 კაპ., დარჩენილი 438 მანათი 40 კაპეიკი, სულ—ერთიანად 13892 მანათი 37 კაპ.

ნაზაროვი ალექსანდრე ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და 180 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-6 ნაწილში. თავნი ვალი 5708 მანათი 92 კაპ., დარჩენილი 391 მანათი 3 კაპ.—სულ ერთიანათ 6099 მანათი 95 კაპ.

ერისთავისა ნინო ალექსანდრეს-ასული. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და სამ-სართულიანი ფლიგელი სარდაფის სართულით და 144 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში მე-2 განყოფილებაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ. თავნი ვალი 5708 მან. 92 კაპ., დარჩენილი 92 მან. 20 კაპ.—სულ ერთიანათ 5801 მან. 92 კაპ.

ბექანოვი მიხეილ ბექანის-ძე. ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და 640 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში; თავნი ვალი 38146 მანათი 43 კაპ., დარჩენილი 2531 მანათი 61 კაპ.—სულ ერთიანად 40678 მანათი 4 კაპ.

ჩოლოყაშვილისა სოფიო კონსტანტინეს ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფით და $68^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ორბელიანების ქუჩაზე. თავნი ვალი 6172 მანათი 32 კაპ., დარჩენილი 465 მან. 57 კაპ. სულ ერთიანად 6637 მან. 89 კაპ.

არწრუნები: გრიგოლი და ანდრია იერემიას-ძენი. სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, ქარვასლა ანუ სასტუმრო ეზო და ორ-სართულიანი ქვით-კირის გალერეია 1,135 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, სასახლის ქუჩაზე. თავნი ვალი 380,594 მანათი 77 კაპეიკი, დარჩენილი 34,174 მანათი 60 კაპ.—სულ 414,769 მანათი 37 კაპეიკი.

გაბაშვილები: ზაქარია გრიგოლი და ეფემია დიმიტრის-ძენი. სახნავი და საბოსტნე ადგილები 4 დესიატინა 807 ოთხ-კუთხი საჟენი 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 2854 მანათი 47 კაპეიკი, დარჩენილი 211 მანათი 2 კაპეიკი—სულ ერთიანად 3065 მანათი 49 კაპეიკი.

მნაცაკანოვი ნერსეს ბაღდანის-ძე. ერთ-სართულიანი ქვათკირის სახლი, ფლიგელი სარდაფიდ და ოთხი დუქანი სარდაფით და 110 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-7 წილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ავლაბარში. თავნი ვალი 5708 მანათი 92 კაპეიკი, დარჩენილი 296 მანათი 20 კაპეიკი—სულ ერთიანად 6005 მანათი 12 კაპეიკი.

ძიძიგური ივანე როსტომის-ძე. სამ-სამრთულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანი ფლიგელით, სამოსამსახუროთი, ეზოთი და 57 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-11 ნაწილში, სიმონსონოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 9566 მანათი 28 კაპეიკი, დარჩენილი 568 მანათი 57 კაპ.—სულ ერთიანად 10,134 მანათი 85 კაპ.

შაიკოვი (იგივე ტერ-დავიდოვი) მიხეილ ტერ-დავითის-ძე. ოთხ-სართულიანი ქვითკირის სახლი 52 ოთხ-კუთხი საჟენი და 7 არშინი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-5 ნაწილში, პოლიციის ქუჩაზე. თავნი ვალი 7421 მანათი 61 კაპ., დარჩენილი 249 მანითი 46 კაპ.—სულ ერთიანათ 7671 მანათი 7 კაპ.

კეგამოვი არსენ-სულთანი: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელი და ვენახი 3642 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. ერევანში. თავნი ვალი 9514 მანათი 87 კაპეიკი, დარჩენილი 565 მანათი 75 კაპეიკი—სულ ერთიანად 10,080 მანათი 62 კაპეიკი.

თულიშვილისა, სუსანა ბაღდანის-ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და სამი ფლიგელი $104^{3}/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ოქრო-მჭედლების ქუჩაზე. თავნი ვალი 10,369 მანათი 96 კაპეიკი, დარჩენილი, 527 მანათი 16 კაპეიკი—სულ ერთიანად 10,897 მანათი 12 კაპეიკი.

გოზალოვი, გრიგოლ იაგორას-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, ყველა მოწყობილობით და 84 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 19,203 მანათი 63 კაპეიკი, დარჩენილი 1674 მანათი 02 კაპეიკი—სულ ერთიანად 20877 მანათი 65 კაპეიკი.

ბურდოლოვი ალექსანდრე სოლომონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი მეზონინით, დუქნით და ორი თავლით, ზომა მიწისა 600 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-11 ნაწილში. თავნი ვალი 3086 მანათი 49 კაპ., დარჩენილი 213 მანათი 8 კაპ.—სულ ერთიანად 3299 მანათი 57 კაპ.

ბარათაშვილი, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე. ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სამოსამსახუროთი და დუქნები 1,382 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-6 ვარანცოვის ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 8641 მანათი 64 კაპეიკი, დარჩენილი 771 მანათი 75 კაპეიკი—სულ ერთიანათ 9413 მანათი 39 კაპეიკი.

გაბაშვილი ალექსანდრე ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფი, ფლიგელით და 160 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6401 მანათი 19 კაპ., დარჩენილი 450 მანათი 47 კაპ.—სულ ერთიანად 6851 მანათი 66 კაპ.

შაბუროვები: გრიგოლი და სოლომონ ივანეს-ძენი. 1 ორ-სართუ-თულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სამ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და სახილე ბაღი 714 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, და 2) ვენახი მარნით და მიწით სიგძით 63 საჟენი, სიგანით სამხრეთის მხრივ 10 საჟენი და ჩრდილოეთის მხრივ 9 საჟენი. ქალაქ სიღნაღში. თავნა ვალი 3874 მანათი 49 კაპეიკი, დარჩენილი 407, მანათი 80 კაპეიკი—სულ ერთიანად 4282 მანათი 29 კაპეიკი.

პაშკევიჩისა მარიამ პეტრეს-ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სარაიათი, თავლით და 321 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზე. თავნი ვალი 29058 მანათი, დარჩენილი 1443 მანათი—სულ ერთიანად 30501 მანათი 69 კაპ.

(ნახე მე-5 გვერდი)